

საქართველოს კანონი

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონში” ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N5-6, 24.04.96, გვ. 66) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეებს თანაბარი უფლება აქვთგაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარადგინონ მტკიცებულებანი, სასამართლოს თანხმობით დაუსვან კითხვები ერთმანეთს, მოწმეებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს, მიმართონ შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცენ მას ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წარმოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გამოვიდნენ დასკვნითი სიტყვით.”.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის II¹ თავი:

„თავი II¹ “სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საქონსტიტუციო სამართალწარმოებაში”
“მუხლი 14¹

1. ნებისმიერ პიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დმტკიცებული ფორმით შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თავისი წერილობითი მოსაზრებით.

2. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ვალდებული მხედველობაში მიიღო პირველ პუნქტში აღნიშნული წერილობითი მოსაზრება.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, თუ იგი საჭიროდ ჩათვლის გამოიყენოს “სასამართლოს მეგობრის” მიერ გამოგზავნილი მოსაზრება, რამაც შესაძლებელია ასახვა ჰპოვოს, ასევე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილშიც.

4. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო “სასამართლოს მეგობრის” წერილობითი მოსაზრებას საკმაოდ მნიშვნელოვანად მიიჩნევს, მას უფლება აქვს იგი გამოიძახოს სასამართლო სხდომაზე დამატებითი შეკითხვების დასმის მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოს, “სასამართლოს მეგობრის” მოსაზრებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე უფლება აქვს იგი მესამე პირად ჩართოს სასამართლო განხილვაში”

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 15¹ მუხლი:

„მუხლის 15¹

კონსტიტუციური სარჩელი უნდა დაიწეროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული, შესაბამისი სასარჩელო სააპლიკაციო ფორმის მიხედვით.”

4. კანონის მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის “ზ” ქვეპუნქტი:

„ზ) თუ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი